

## კლინიკური შემთხვევის აღწერა

აწყვერელი ლ.<sup>1</sup>, ბრეგაძე ო.<sup>2</sup>, ჭუჭულაშვილი ნ.<sup>2</sup>,  
წიკლაური გ.<sup>3</sup>, სეხნიაშვილი ნ.<sup>3</sup>.

### ზედაყრის ფრონტალური დოკალიზაციის გიგანტური რადიკულური კისტები ცენტრისა და ჰაპიომრის ცილინგრიზრდით

თსუ, აირის დრუს ერთობის და  
იმავანდოლოგის დაპარტამენტი, ყგა-სახის  
ერთობის დაპარტამენტი; ს.ე.რინავალის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი კლინიკა<sup>3</sup>

რადიკულური კისტები, რეზიდუალურ კისტებთ-  
ან ერთად, მიეკუთვნება ანთებად ოდონტოგენურ კი-  
სტებს, რადგანაც ვითარდება კბილის ირგვლივი ქსო-  
ვილების ქრონიკული ანთების კერებში. კერძოდ,  
აპიკალური პერიოდონტის არეში. როგორც წესი, მათი  
ჩამოყალიბება ხდება ქრონიკული გრანულომატო-  
ზური პერიოდონტიტის პროგრესირების ფონზე,  
აპიკალური გრანულომებისგან, რომელებიც ზრდის  
პროცესში გადადიან ჯერ კისტაგრანულომებში, შემ-  
დეგ კი - რადიკულურ კისტებში. ამ უკანასკნელმა შე-  
იძლება მიაღწიოს ისეთ ზომებს, რომ დაშალოს ყბის  
ძვალი და გამოიწვიოს პათოლოგიური მოტებილობა,  
შეიზარდოს ჰაიმორის და ცხვირის ღრუებში, შიგთავ-  
სის დაჩირქების შემთხვევაში გამოიწვიოს ოს-  
ტეომიელიტი, ოსტეოფლეგმონა, ჰაიმორიტი. თავის  
მხრივ, რადიკულური და რეზიდუალური კისტები,  
დიზონტოგენეზურ კისტებთან ერთად ერთიანდება  
ოდონტოგენური კისტების ჯგუფში, რადგანაც მათი  
გარსის შენებაში მონაწილეობს ოდონტოგენური გენე-  
ზის ეპითელიუმი, კერძოდ, მალასეს კუნძულაკების  
უჯრედები.

ჰისტომორფოლოგიურად რადიკულური კისტების  
გარსის გარეთა შრე შემაერთებელქსოვილოვანია,  
ხოლო შიგნითა წარმოდგენილია მრავალშრიანი,  
ბრტყელი, გაურქოვანებელი, სქვამოზური ეპითელით.  
მათი ბლანტი, გამჭვირვალე შიგთავსი შეიცავს სიდე-  
როფაგებს, ქლოესტერინის კრისტალებს, კალცი-  
ნატებს (რეშტონის სხეულაკები), არცთუ იშვიათად,  
გიგანტურ მრავალბირთვიან უჯრედებს. პროცესის  
გამწვავების შემთხვევაში, კისტის გარსში და შიგთავ-  
სში ვლინდება მრავლობითი ნეიტროფილური გრანუ-  
ლოციტები, ხოლო ანთებითი პროცესის რემისის  
დროს - უპირატესად მაკროფაგები და ლიმფოციტე-  
ბი.

ზედა ყბის ძვლებში განვითარებული დიდი ზომის  
რადიკულური კისტები, გარდა იმისა, რომ არღვევს  
საკბილე მორჩის ძელოვან სტრუქტურას და გრაცელ-  
დება მეზობელი კბილების მიმართულებით, არცთუ  
იშვიათად იწვევს სახის ქალას ფიზიოლოგიური ღრუე-  
ბის ძელოვანი კედლების დესტრუქციას და ნაწილო-  
ბრივ, ან მთლიანად იკავებს მათ. ამასთან, როგორც  
წესი, ზედა ყბის ფრონტალურ არეში განვითარებული  
დიდი ზომის რადიკულური კისტები უხშირესად გა-  
ნიცდის შეზრდას ცხვირის ღრუში, კერძოდ, მის ქვე-  
და სავალში, ხოლო დიდი და ხანდახან მცირე საღეჭი  
კბილებიდან განვითარებული დიდი ზომის რადიკუ-  
ლური კისტები - ზედა ყბის წიაღში. თუმცა, რადიკუ-  
ლურმა კისტებმა შეიძლება მიაღწიოს ისეთ ზომებს,

რომ გამოიწვიოს ზედა ყბის ძლოვანი ქსოვილის დიდი  
მასივის დესტრუქცია ერთდღოულად ცხვირის და  
ჰაიმორის წიაღში შეზრდით.

კვლევის მიზანს შეადგენდა ცხვირისა და ჰაიმორის  
წიაღებში შეზრდილი, ზედა ყბის ფრონტალური  
ლოკალიზაციის გიგანტური რადიკულური კისტის იშ-  
ვიათი კლინიკური შემთხვევის აღწერა.

პაციენტი გ.ნ., 26 წლის კაცი კონსულტირებული  
იქნა ამბულატორიულად 16.02.2022 წ. მომართვისას  
პაციენტი უჩინოდა ტკივილს მარცხნივ ზედა ყბის არე-  
ში, საკბილე მორჩისა და თვალბუდის ქვედა მიდამოს  
რბილი ქსოვილების ანთებად შემუშებას, ცხვირით  
სუნთქვის გაძნელებას. დიაგნოსტირდა: მარცხენა  
ზედა ყბის ძვლის გიგანტური რადიკულური კისტა  
ცხვირისა და ჰაიმორის წიაღებში ზრდით, გამწვავებ-  
ის ფაზა.

ანამნეზი: პაციენტის გადმოცემით, მომართვამ-  
დე დაახლოებით წელიწადნახევრით ადრე, დაწყო  
ცხვირით სუნთქვის გაძნელება, შესაბამის მხარეზე  
ჰაირის გამტარობის მკვეთრად დაქვეითების გამო.  
კლინიკაში მომართვამდე ორი თვით ადრე პაციენტს  
დაწყო პერიოდული ხასიათის ტკივილები მარცხნივ  
ზედა ყბის არეში, რასაც მოჰყვა საკბილე მორჩის  
რბილი ქსოვილების ანთებად შემუშება. ანტიბი-  
ოტიკოთერაპიის ფონზე მწვავე ანთების მოვლენებ-  
მა გაიარა, თუმცა ბოლო პერიოდში აღნიშნა გამ-  
წვავების ახალი ფაზა. ანთებითი პროცესის სწრაფი  
პროგრესირების გამო პაციენტმა მიმართა სტომა-  
ტოლოგიურ კლინიკას, სადაც ჩაუტარდა სახის ძვლებ-  
ის კომპიუტერული ტომოგრაფია. გამოვლინდა მარ-  
ცხენა ზედა ყბის ძვლის გიგანტური ზომის ოდონტო-  
გენური კისტა, რის გამოც პაციენტი გამოგზავნილი  
იქნა ყბა-სახის ქირურგიულ კლინიკაში მკურნალობის  
მიზნით.

ლოკალური სტატუსი: გარეგანი ინსპექციით ყურა-  
დლებას იქცევდა სახის ზომიერად გამოხატული ასიმ-  
ეტრია მარცხენა თვალბუდის ქვედა მიდამოს რბილი  
ქსოვილების ანთებად შეშუპების გამო. რინოსკოპი-  
ული გასინჯვით: მარცხნივ, ცხვირის ქვედა სავალის  
შიდა მოცულობა იყო მკვეთრად შემცარებული, ხოლო  
მსხლის ძებური შესავლის ფუძე - დეფორმული,  
გამობერილი და დაფარული მაცერირებული, ჰიპერე-  
მიული ლორნოვანი გარსით. ქვედა ყბის მოძრაობა იყო  
თავისუფალი. პირის ღრუს ინსპექციით, შესაბამის  
მხარეზე, საკბილე მორჩის მფარავი რბილი ქსოვილე-  
ბი ვესტიბულური მხრიდან, კარიბჭის თაღის ჩათვ-  
ლით, მთელ სიგრძეზე (ცენტრალური საჭრელიდან  
მეორე მოლარამდე) იყო შეშუპებული და ჰიპერემიუ-  
ლი. პალპატორულად 21-24 კბილების ინტერვალის  
ფარგლებში ისინჯებოდა ძვლის გათხელებული,  
გამობერილი და დრეკადი კორტიკალური ფირფიტა  
(დიუპიუტრენის სიმპტომი). შესაბამის მხარეს, ფრონ-  
ტალურ არეში მაგარი სასის ლორნოვანი გარსი იყო  
ჰიპერემიული და პალპაციურად მტკივნეული. 28  
კბილი კბილთა რკალში არ ვიზუალიზდებოდა (ექსტრაგირებული იყო მომართვამდე). ყველა კბილი  
- 21-დან 27 ჩათვლით, ადრე იყო ენდოდონტიურად  
ნამკურნალები და რესტავრირებული. 24 კბილის სტა-  
ტიკა, მიმდებარე ძვლივანი ქსოვილის მნიშვნელოვანი  
დესტრუქციის გამო, იყო დარღვეული.

რადიოლოგიური გამოკვლევის მონაცემები: სახის ძვლების კომპიუტერული ტომოგრაფიით ნანახი იქნა მარცხენა მხარეს მსხლისებური შესავლის ქვედა კედლის მნიშვნელოვანი რღვევა, რამაც გამოიჩინა კოსტის შეზრდა ცხვირის ქვედა სავალში და ამ უკანასკნელის შიგნითა სივრცის მკვეთრი შევიწროება. ამასთან, კისტა განიცდიდა ზრდას მთელ სიგრძეზე, მარცხენა ზედა საკბილე მორჩის გასწვრივ. კისტის ღრუში ფიქ-სირდებოდა 21, 22, 23, 24, 25, 26 და 27 კბილების ფესვების აპიკალური მესამედები. რღვევას განიცდიდა მარცხენა ჰაიდრორობის ნიალის მედიალური კედლის ქვედა ნაწილი და ქვედა კედელი, საიდანაც კისტა შეზრდილი იყო ნიაღში და ნახევრამდე ავსებდა მის შიდა სივრცეს. დესტრუირებული იყო, შესაბამის მხარეს, მაგარი სასის ძვლოვანი ქსოვილიც.

წინასაოპერაციო მომზადების რეჟიმში პაციენტს დაენიშნა ანტიმიკრობული თერაპია და პირის ღრუს თბილი ანტისეპტიკური სავლება. მიეცა რეკომენდაცია, კისტის ღრუში არსებული კბილების განმეორებით ენდოდონტიკურ მკურნალობასა და რესტავრაციასთან დაკავშირებით. კბილების შენარჩუნების მიზნით, ოპერაციის წინ პაციენტს ჩაუტარდა 21, 22, 23, 25, 26 და 27 განმეორებითი ენდოდონტიკური მკურნალობა და დაბუენა ლატერალური კონდენსაციის მეთოდით. 30.03.2022 წ. პაციენტი პოსპიტალზებული იქნა კლინიკაში ოპერაციული მკურნალობის მიზნით.

პაციენტს ზოგადი გაუტკივარებით ჩაუტარდა ოპერაციული ჩარევა: მარცხენა ზედა ყბის ძვლის სეგმენტური რეზექცია, ცისტექტომია, ჰაიდრობის ნიალისა და კისტის ძვლოვანი სარეცელის ქირურგიული და ანტისეპტიკური სანაცია, ნარმოქმნილი ვრცელი ორო-ანტრალური ფისტულა დაიხურა.

ოპერაციის ტექნიკა: რამდენადაც ტექნიკური თვალსაზრისით გამართლებულად ჩაითვალა საოპერაციო ველის გახსნა ერთი ვრცელი განაკვეთით, გატარდა კალდულ-ლუკის ატიპიური განაკვეთი, ტრაპეციული ნაფლეთის ნარმოქმნით, 21 კბილიდან ტუბერამდე. აშრევდა რბილი ქსოვილებიდა მობილიზა ზევით. საღი ძვლის ფარგლებში, ფრეზირების გზით, მოიკვეთა საკბილე მორჩის ვესტიქულური კედლის დესტრუირებული უბანი. ამოიკვეთა კისტის გარსი მთლიანად რამდენიმე ოპიექტის სახით, როგორც კისტის ძვლოვანი ღრუდან, ისე ჰაიდორის წიაღიდან. ცხვირში შეზრდილი კისტის გარსის ფრაგმენტის ამოკვეთისას ადგილი ჰქონდა ამ უკანასკნელთან შეზრდილი მაცერირებული ლორნოვანი გარსის მთლიანის რღვევას, რომელიც აღდგა ატრავმული 5/0 ძაფის კვანძოვანი ნაკერებით. ჩატარდა წინასწარ ენდოდონტიკურად ნამკურნალები 21, 22, 23, 25, 26 და 27 კბილების ფესვების მწვერვალების რეზექცია, მათი შენარჩუნების მიზნით. ექსტრაგირდა 24 კბილი, რომლის ფესვებს აღარ ჰქონდა შერჩენილი საყრდენი ძვლოვანი ქსოვილი. ქირურგიულად და ანტისეპტიკურად დამუშავდა კისტის ღრუს ძვლოვანი კედლები, ჰაიდორის წიაღი და 24 კბილის კბილბუდე. გატარდა ჭრილობის ჰქონდაზი ლექტროკომაგულაციით. წიაღში მოთავსდა რეზინის დრენაჟი, რომლის ბოლო გამოტანილ იქნა კარიბჭის ჭრილობაში. მობილიზა რბილი ქსოვილების ვესტიქულური ნაფლეთი და ჭრილობა გაიკერა ატრავმული 3/0 ძაფის კვანძოვანი ნა-

კერებით, ორო-ანტრალური ფისტულის დახურვით.

ამდენად, აღნერილი ცხვირისა და ჰაიდორის წიაღებში შეზრდილი, ზედა ყბის ფრონტალური ლოკალიზაციის გიგანტური რადიკულური კისტის იშვიათი კლინიკური შემთხვევა ინტერესს იწვევს სამი ძირითადი მიზეზის გამო: 1. დიდი ზომის ფრონტალური კისტები უხშირესად განიცდის შეზრდას ცხვირის ღრუში და, ჩვეულებრივ, ვერ აღწევს ჰაიდორის წიაღს; 2. კისტა იმდენად ავინროებდა ცხვირის ქვედა სავალს, რომ ინვევდა შესაბამის მხარეს ცხვირით სუნთქვის გაძნელებას; 3. კისტა იზრდებოდა ჰორიზონტალური მიმართულებით - ფრონტალური მიდამოდან მოლარების პროექციამდე, რის გამოც მასში ფიქსირდებოდა მარცხენა ზედა ყბის არეში არსებული ყველა კბილის ფესვი.

#### ლიტერატურა:

- Peterson's - Principles of Oral and Maxillofacial Surgery, Third Edition, 2014 ( vol. 2 )
- Oral and Maxillofacial surgery, Missouri : Elsevier 2018
- Guerrissi JO.- Giant cells mandibular lesion: surgical treatment with preservation of the dentition. J Craniofac Surg. 2013 Jul;24(4):1394-6.

4. Причины рецидивов кистозных образований челюстей Д.м.н., проф. А.В. Щипский, И.В. Годунова\* Московский государственный медико-стоматологический университет им. А.И. Евдокимова, Москва, Россия Стоматология 2, 2016 с.84-88

#### SUMMARY

#### CLINICAL CASE REVIEW

Atskvereli L.<sup>1</sup>, Bregadze O.<sup>2</sup>, Chuchulashvili N.<sup>2</sup>, Tsiklauri G.<sup>3</sup>, Sekhniashvili N.<sup>3</sup>,

#### GIANT ODONTOGENIC CYSTS OF THE FRONTAL LOCALIZATION OF THE MAXILLA WITH GROWTH IN THE NASAL AND SINUS CAVITIES

TSMU, DEPARTMENT OF ORAL SURGERY AND IMPLANTOLOGY<sup>1</sup>, DEPARTMENT OF MAXILLOFACIAL SURGERY<sup>2</sup>; S. KHECHINASHVILI UNIVERSITY CLINIC<sup>3</sup>

The article presents a description of a rare clinical case of a giant radicular cyst of the frontal localization of the maxilla, growing into the nasal and sinus cavities. A 26-year-old male patient complained of pain in the upper jaw area on the left side, inflammation of the soft tissues of the tooth ridge and the lower part of the lower eyelid, and difficulty in breathing through the nose. Computed tomography of the facial bones diagnosed: giant radicular cyst of the left maxillary bone with growth into the nasal and maxillary sinuses, acute inflammatory phase. The cyst caused significant destruction of the inferior wall of the pear-shaped aperture, the medial and inferior walls of the maxillary sinus and the osseous mass of the periodontium on the corresponding side. On one hand, it experienced growth in the nasal cavity and narrowed the inner space of the left lower nasal passage, on the other hand - due to growth in the cavity, it filled its lower half and at the same time expanded in the horizontal direction - from

the frontal area to the projection of the molars, due to which the roots of all the teeth in the left upper jaw are towards to the cyst. In the mode of pre-operative preparation, the patient was prescribed antimicrobial therapy. In addition, in order to preserve the teeth, the canals 21, 22, 23, 25, 26 and 27, which were previously endodontically treated, were re-canalized and filled before the surgery. 2 weeks after the initial treatment, the patient was hospitalized and underwent surgery: segmental resection of the left maxillary bone within the healthy tissue, radical cystectomy, extraction of 24 statically movable teeth, resection of the apexes of the roots of teeth 21, 22, 23, 25, 26 and 27, closure of oro-antral communication.

ბახტაძე ს.!, ნადირაძე თ.!, კვაჭაძე ი.!,  
ხაჭაპურიძე ნ.!

## გამოცვაული კონტანტიალების ცვლილებები ინტერნეტ-დამოკიდებულ ჩავალებებისა და მოზარდები

თსუ, გავათა ევროლოგის დეპარტამენტი;  
ფიზიოლოგის დეპარტამენტი<sup>1</sup>

ინტერნეტ-დამოკიდებულება, ანუ ინტერნეტის პათოლოგიური მოხმარება, ხასიათდება ინდივიდის მიერ ინტერნეტთან გატარებული დროის კონტროლის უზარის დაქვეითებით, ან დაკარგვით. აღნიშნულის შედეგად ვითარდება დისტრესი და სიცოცხლის ხარისხის დაქვეითება, რაც მოიცავს სოციალური ურთიერთობების დეფიციტს, აკადემიური მოსწრებისა და ქცევის დარღვევებს [1]. ზოგიერთი მკვლევარისა აზრით, ინტერნეტის ჭარბი მოხმარება ცალკე მდგომარეობას არ წარმოადგენს და იგი ისეთი დარღვევების სიმტკიცია, როგორიცაა შფოთვითი აშლილობა და დეპრესია. აშშ-ის ადიქციის შემსწავლელი საზოგადოების მიერ შემუშავდა ადიქციის ახალი დეფინიცია, რომლის მიხედვით ადიქცია თავისი ტვინის ფუნქციონის ქრონიკული დარღვევაა, განპირობებული არამხოლოდ ნივთიერებების მოხმარებით (ალკოჰოლი, ნარკოტიკული საშუალებები), არამედ განვითარებული ქცევითი დამოკიდებულებების დროსაც [2].

მენტალური დაავადებების დიაგნოსტიკური და სტატისტიკური სახელმძღვანელოს მე-5 გადახედვის (DSM V-ის) მიხედვით [3], ინტერნეტ-დამოკიდებულება კომპულსიურ-იმპულსური სპექტრის დარღვევაა, რომელიც გულისხმობს კომპიუტერის ონლაინ და/ან ოფლაინ გამოყენებას და მოიცავს სულ მცირე საშქეტის: გადაჭარბებულ თამაშს, სექსუალური ტიპის აქტივობას ონლაინ და მეილზე/ტექსტურ შეტყობინებებზე პერმანენტულ დამოკიდებულებას. ყველა

მათგანს აქვს ოთხი საერთო კომპონენტი: 1) გადაჭარბებული გამოყენება, ხშირად ასოცირებული დროის შეგრძნების დაკარგვასთან, ან ძირითადი აქტივობების უგულებელყოფასთან; 2) მოხსნის სინდრომი, გამოვლენილი სიბრაზის, დაძაბულობის და/ან დეპრესიული ქცევით მაშინ, როდესაც ონლაინ აქტივობა შეუძლებელი ხდება; 3) ტოლერანტობა - ონლაინ გატარებული დროის გაზრდილი მოთხოვნილების სახით; 4) ნეგატიური შედეგები - აგრესიული ქცევა, ტყუილი, დაბალი აკადემიური მოსწრება, სოციალური იზოლაცია და დაღლილობა [4]. ინტერნეტ-დამოკიდებულების გამომწვევი მიზეზები უცნობია. დადგენილ რისკ-ფაქტორს წარმოადგენს ონლაინ აზარტული თამაშების ოჯახური ისტორია. მეტიც, აღმოჩენილია მყარი კავშირი მშობლების დეპრესიასა და ბავშვის ინტერნეტ-დამოკიდებულებას შორის. ონლაინ აზარტული თამაშების ოჯახური ირისკი განპირობებულია როგორც გარემო ფაქტორებით, ისე გენეტიკური წინასარგანწყობა აღინიშნება შემთხვევათა 50%-ში. საყურადღებოა, რომ გენეტიკურ წინასარგანწყობაზე პასუხისმგებელი კონკრეტული გენები ჯერ გამოვლენილი არ არის, თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ ინტერნეტ-დამოკიდებულების პათოგენეზში მრავალი გენი მონაწილეობს, მათ შორის - დოფამინის D2 რეცეპტორის გენი. გარდა ამისა, სეროტონინის ტრანსპორტერის გენის პოლიმორფიზმა 5-HTTLPR შეიძლება ასევე შესარტულოს გარკვეული როლი ინტერნეტ-დამოკიდებულების პათოგენეზში [5]. ნეირორადიოლოგიური კვლევებით, კერძოდ - ფუნქციურ მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიით (fMRI) რადიოლოგიური პატერნების სხვაობა ინტერნეტ-დამოკიდებულების მქონე პირებში, საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, დადგინდა თავის ტვინის გარკვეულ რეგიონებში: პრეფრონტალურ ქერქში, ორბიტოფრონტალურ ხვეულში, ზოლიან სხეულში, ნათხემი, თავის ტვინის ლეროში, მარჯვენა სარტყელისებრ ხვეულში, ბილატერალურად პარაპირკუმპუსში, მარჯვენა შუბლის წილში, მარცხენა ზედა შუბლის ხვეულში, მარცხენა კაუჭში, მარჯვენა პოსტცენტრალურ ხვეულში, მარჯვენა შუა კეფის ხვეულში, მარჯვენა ქვედა საფეთქლის ხვეულში, მარცხენა ზედა საფეთქლის ხვეულსა და შუა საფეთქლის ხვეულში. ყველა ჩამოთვლილი სტრუქტურა მონაწილეობს ინტერნეტ-დამოკიდებულების განვითარებაში. Zhou-მ [6] და სხვებმა დაადგინეს, რომ ინტერნეტ-დამოკიდებულების მქონე მოზარდებს აღენიშნებათ რუხი ნივთიერების დაქვეითებულების სიმკვრივე მარცხენა წინა სარტყელისებრ ქერქში, მარცხენა უკანა სარტყელისებრ ქერქში, მარცხენა ინსულასა და მარცხენა ენისებრ ხვეულში. ამრიგად, ინტერნეტ-დამოკიდებულების მქონე პირებს აღენიშნებათ მრავლობითი სტრუქტურული ცვლილებები თავის ტვინში და ასეთი ცვლილებები მნიშვნელოვნად კორელირებს მათი ინტერნეტ-დამოკიდებულების ხანგრძლივობასთან.

მიუხედავად არსებული ნეიროგამოსახვითი მონაცემებისა, ინტერნეტ-დამოკიდებულების განმაზღვრელი ბიომარკერი, რომელიც ნეირონატომიურ მონაცემებთან კორმბინაციაში შესაძლებელს გახდის მისა ზუსტ დაგნოსტიკურას, ჯერ კიდევ არ არსე-